# საქართველოში ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმირებულობა და განათლება ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის

**ნინო გოგოლაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023 წელი**

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

ნინო გოგოლაძე

(15.06.2023)



# აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება საქართველოში ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმირებულობისა და განათლების დონის შეფასებას ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის. საკვლევი თემა აქტუალურია, რადგან საქართველოში ქალებს ნაკლებად აქვთ სრულფასოვანი ინფორმაცია, განათლება ოჯახის დაგეგმვის შესახებ. ამ მიმართულებით არსებობს პრობლემები, რომლებიც შემდგომში გავლენას ახდენს ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველადი და მეორეული წყაროები, საკითხის ირგვლივ გაანალიზდა სხვა ქვეყნების გამოცდილება, ჩატარდა ორი სახის კვლევა: თვისებრივი და რაოდენობრივი. თვისებრივი კვლევა განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით. რესპონდენტებიდან მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით, გაანალიზდა საქართველოში ქალების ცნობიერების დონე ოჯახის დაგეგმვის შესახებ, ასევე ჯანდაცვის პროვაიდერთან კონსულტაციის მნიშვნელობა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 18–43+ წლის ქალებს შორის, რომლის საფუძველზეც გაკეთდა საკვლევი საკითხის შესახებ დასკვნები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში სრულწლოვანი ქალების ინფორმირებულობის დონე ოჯახის დაგეგმვის შესახებ დაბალია. ქალები საკითხის შესახებ განათლებას ძირითადად ინტერნეტსივრციდან იღებენ. კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ზრდასრული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ან საერთოდ არ მიმართავს გინეკოლოგს კონსულტაციისთვის. ქალებისთვის გინეკოლოგთან ვიზიტის დაბალი სიხშირე ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარეობს. ამგვარად, საქართველოში ოჯახის დაგეგმვის სერვისების შესახებ ქალების განათლება და ინფორმირებულობა დაბალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. ქალებს ფრაგმენტული ინფორმაცია აქვთ რეპროდუქციული ჯანმრთელობის რისკების შესახებ. საკითხის შესახებ მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მიღებულია კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა, სექსუალური განათლება, ცნობიერების ამაღლება, კონტრაცეფცია, აბორტი, სიკვდილიანობა, შობადობა.

## Abstract

The master's thesis is about family planning awareness and education for women's reproductive health and safety in Georgia. The research topic is relevant because women in Georgia have less complete information and education about family planning. In this direction, there are problems that further affect the reproductive health and safety of women. In the research process, primary and secondary sources were processed, the experience of other countries were analyzed around the issue. Two types of research were conducted: qualitative and quantitative. Qualitative research was conducted through interviews with a gynecologist. Based on the answers received from the respondent, the level of awareness of women in Georgia about family planning, the importance of consultation with a health care provider was analyzed. Quantitative research was conducted among women aged 18-43+, based on which conclusions were drawn. As a result of the research, it was revealed that the awareness of adult women in Georgia about family planning is partial. Women receive education about the issue mainly from the Internet. As a result of interviews and an online questionnaire, it was found that a significant part of adult women in Georgia consults a gynecologist either at all or once every few years. The low frequency of visits to the gynecologist for women stems from financial problems. Thus, women's education and awareness of family planning services in Georgia is low, and it's impact on women's reproductive health is high. Women have fragmented information about reproductive health risks. The conclusions and recommendations about the issue are based on the results of the research.

Key words: Reproductive health, Family planning, Sex education, Awareness raising, Contraception, Abortion, Mortality, Birth rate.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნიკოლოზ ფრუიძეს, გაწეული შრომისა და ნაშრომის მომზადების პროცესში შეტანილი წვლილისთვის.

მადლობას ვუხდი ნაშრომის რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში მონაწილე პირებს, დარგის სპეციალისტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინტერვიუებში.